GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

29 Mayıs / მაისი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	2.7 %

26 Mayıs- Gürcistan'ın Bağımsızlık Günü

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

Gürcistan'ın bağımsızlık günü geleneksel olarak Rustaveli Caddesinde kutlandı. 26 Mayıs'ı Tiflis hariç Gürcistan'ın 15 şehrinde kutlandı.

Bağımsızlık gününe adanmış bayram etkinlikleri Tiflis'te, Özgürlük Meydanı'nda asker yemin töreniyle başladı.

Toplananlara Gürcistan Başbakanı, Meclis Başkanı ile Cumhurbaşkanı hitap etmişlerdir.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ტრადიციულად რუსთაველის გამზირზე აღინიშნა. 26 მაისი თბილისის გარდა იზეიმეს საქართველოს 15 ქალაქში.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები თბილისში სამხედრო ფიცის დადების ცერემონიით გაიხსნა თავისუფლების მოედანზე.

შეკრებილებს სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა მიმართეს.



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Cumhurbaşkanı Seçimini Erdoğan Kazandı

ერდოღანმა გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში

Cumhurbaşkanı seçimlerinin ikinci turunda oyların yüzde 99,85'i sayıldı. Cumhur İttifakı'nın adayı Recep Tayyip Erdoğan oyların yüzde 52,16'sını alarak seçimi kazandı. Millet İttifakı'nın adayı Kemal Kılıçdaroğlu ise yüzde 47,84 oranında oy aldı. Erdoğan 52 ilde, Kılıçdaroğlu 29 ilde daha fazla oy aldı.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ხმების 99,85% დათვლილ იქნა. „სახალხო ალიანსის“ კანდიდატმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ხმების 52,16% პროცენტი აიღო და შესაბამისად, არჩევნებში გაიმარჯვა. ოპოზიციის ეროვნული ალიანსის კანდიდატმა, ქემალ ქილიჩდაროღლუმ კი ხმების 47,84 პროცენტი აიღო. ერდოღანმა 52, ხოლო ქილიჩდაროღლუმ 29 პროვინციაში აიღო უფრო მეტი ხმა.

Gürcistan Diaspora Günü Forumu-2023

ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი -2023

Gürcistan diaspora Gününe ilişkin Dışişleri Bakanlığı iki gün boyunca "**Gürcistan'ın Birliği, Barışı ve Avrupa Geleceği İçin Güçlü Diaspora**" adlı forumuna ev sahipliği etmişti.

Etkinliği Gürcistan Dışişleri Bakanı, Cumhurbaşkanı ile Başbakanı tarafından açıldı. Davetliler arasında Yürütme erki, Yasama organı ve diaspora temsilcileri, ayrıca rahipler de yer almışlardır.

Forumun maksadı Hükümet ile diaspora arasındaki işbirliğini geliştirmek, mevcut zorlukları ele almak ve sorunları çözmenin araçlarını bulmaktır. Diaspora forumu her yıl, 27 Mayıs'ta düzenlenmektedir.

ქართული დიასპორის დღესთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორი დღის განმავლობაში ფორუმს – **„ძლიერი დიასპორა საქართველოს ერთიანობის, მშვიდობისა და ევროპული მომავლისთვის“** უმასპინძლა.

ღონისძიება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქვეყნის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა გახსნეს. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიასპორის წარმომადგენლები, ასევე სასულიერო პირები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ფორუმი მიზნად სახელმწიფოსა და დიასპორას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებულ გამოწვევებზე მსჯელობასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას ისახავს. დიასპორის ფორუმი ყოველწიურად, 27 მაისს იმართება.

Uluslararası Ulaştırma Forumu 2023

საერთაშორისო ტრანსპორტის ფორუმი 2023

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Guram Guramishvili Leipzig'de yerini almış Uluslararası Ulaştırma Forumu'na (ITF) katıldı.

Zirveye 80'den daha fazla ülkeden yaklaşık 1400 temsilci katılmıştı. Bu seneki zirvenin ana konusu "Sürdürülebilir Ekonomiyi Sağlayan Ulaştırma" idi.

Bakan Yardımcısı'na göre, son zamanlarda Gürcistan'ın üzerinden geçen ulaştırma koridorundaki kargo cirosu önemli ölçüde artmış, bunun nedeni ise bölgedeki durumdur.

Guramishvili Anaklia derin su limanı, Poti limanlarının iletkenliğinin artırılması, demiryolu yenileştirilmesi ve Gürcistan'ın önümüzdeki yıllarda Avrupa ile Asya arasındaki kargo cirosuna sürdürülebilir bir şekilde hizmet verebileceği diğer belirli projeleri de üzerinde durmuştu.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილმა საერთაშორისო ტრანსპორტის ფორუმის (ITF) მინისტერიალში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გაიმართა.

მინისტერიალში 80 - ზე მეტი ქვეყნის დაახლოებით 1400 წარმომადგენელი მონაწილეობდა. წლევანდელი სამიტის ძირითადი თემა იყო „ტრანსპორტი, რომელიც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკებს".

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთბრუნვა საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანში, რაც, ძირითადად, განაპირობა რეგიონში შექმნილმა მდგომარეობამ.

მან ყურადღება გაამახვილა ცალკეულ პროექტებზე, მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურზე, ფოთის პორტების გამტარუნარიანობის ზრდაზე, რკინიგზის მოდერნიზაციასა და სხვ, რომელთა მეშვეობითაც მომდევნო წლებში საქართველო შეძლებს ევროპისა და აზიას შორის არსებული ტვირთბრუნვის მდგრად მომსახურებას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Irakli Garibashvili'nin Katar Ziyareti

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი კატარში



Gürcistan Başbakanı heyet ile birlikte Katar Ekonomik Forumu açılışına katılmak üzere Katar Devleti'ndeydi. Foruma katılanlara "Bloomberg"in kurucusu Sn. Michael Bloomberg ile Katar Başbakanı Şeyh Muhammed bin Abdulrahman bin Casim es-Sani hitap etmişlerdir.

Katar Ekonomik Forumu Katar Emiri himayesinde ve Bloomberg tarafından organize edilmesiyle her yıl Doha'da yer almaktadır.

Sn. Garibashvili Katar Devleti Emiri, Şeyh Temim bin Hamad El Sani ile görüştü.

Sn. Irakli Garibashvili ile Katar Devleti Emiri çeşitli alanlarda iki ülke arasındaki verimli işbirliğinin dinamiklerini ele aldılar.

Gürcistan ile Katar arasındaki ekonomik işbirliğinin derinleştirilmesinin her iki ülkenin ekonomik diplomasi gündeminde bir öncelik olduğunu belirtildi.

Mevcut ekonomik ve ticari ilişkilerini derinleştirmek ve güçlendirmek için hazırlığı ifade edildi.

Başbakan'ın belirttiği gibi, Gürcistan Hükümeti Katarlı iş adamları tarafından ülkeye farklı farklı alanlara yatırım yapmalarını hoş karşılayacaktır.

Başbakan ayrıca Katar Başbakanı Şeyh Muhammed bin Abdulrahman bin Casim es-Sani ile görüştü.

Taraflar iki ülke arasındaki işbirliğinin temel yönleri ve gelecek planlarını ele aldılar.

Ekonomik ve ticari ilişkilerin derinleştirilmesinin ve ülkeler arasında mevcut olan işbirliğinin büyük potansiyelinin tamamıyla kullanılmasının öneminin altını çizildi.

Ülkeler arasındaki siyasi diyaloğun üst düzeyde olduğunu ve iki ülkenin bakanlıkları arasında işbirliği yapmanın olumlu dinamikleri belirtildi.

Sn. Garibashvili Suudi Arabistan Krallığı Yatırım Bakanı Sn. Khalid bin Abdulaziz Al Falih ile Ekonomi ve Planlama Bakanı Sn. Faysal bin Fadıl el-İbrahim ile toplantı yapmış oldu. Toplantıda Sn. Irakli Garibashvili'nin geçen seneki Suudi Arabistan Krallığı başarılı bir ziyareti vurgulandı.

Suudi Arabistan Krallığı Hükümet Yetkililerine göre, Başbakan Irakli Garibashvili Suudi Arabistan Veliaht prensi, Başbakanı, Ekselansları Muhammed bin Selman bin Abdülaziz El Suud ile görüşmesinin ardından Gürcistan'a yatırım yapmak onlar için özel bir ilgi alanıdır.



Onlara göre, Gürcistan ekonomik açısından son yıllarda kaydetmiş olduğu ilerlemesinden dolayı Suudi Arabistan Krallığı için cazip yatırım yerlerinden biridir.

Toplantıda ayrıca Gürcistan'ın çok önemli bir jeostratejik konuma sahip olduğunu belirtildi.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Taraflar cari yıl Tiflis'te iki ülke arasında bir iş forumu düzenlemeye anlaştılar.
Bununla birlikte Suudi Arabistan Krallığı'nın enerji, ekonomi ve yatırım bakanlıklarının çalışanlarından Gürcistan'ın yatırım imkanlarını çeşitli yönlerde inceleyecek özel bir komisyon oluşturulacağına dair hazırlığı dile getirildi.

Ziyaretin sonunda ise Sn. Irakli Garibashvili Katar Ekonomik Forumu bünyesinde düzenlenen açık oturumuna katıldı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა კატარში, სადაც დაესწრო კატარის ეკონომიკური ფორუმის გახსნას. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს „ბლუმბერგის" დამფუძნებელმა მაიკლ ბლუმბერგმა და კატარის პრემიერ-მინისტრმა, შეიხ მოჰამედ ბინ აბდულრაჰმან ბინ ჯასიმ ალ-თანიმ.
კატარის ეკონომიკური ფორუმი დოჰაში ყოველწლიურად იმართება კატარის ემირის პატრონაჟითა და Bloomberg-ის ორგანიზებით.

ღარიბაშვილი შეხვდა კატარის ემირს, შეიხ თამიმ ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანის.
ირაკლი ღარიბაშვილმა და კატარის ემირმა სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის დინამიკაზე იმსჯელეს.
აღინიშნა, რომ საქართველოსა და კატარს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ორივე ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის დღის წესრიგის პრიორიტეტია.
გამოითქვა არსებული ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაღრმავებისა და გაძლიერების მზადყოფნა.
როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობა მიესალმება ქვეყანაში კატარელი ბიზნესმენების მხრიდან სხვადასხვა სფეროში ინვესტირებას.

პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდა კატარის პრემიერ-მინისტრს შეიხ მოჰამედ ბინ აბდულრაჰმან ბინ ჯასიმ ალ-თანის.
მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები.
ხაზი გაესვა ეკონომიკური და ვაჭრობის მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებისა და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის დიდი პოტენციალის სრულად გამოყენების მნიშვნელობას.
აღინიშნა ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალი დონე და ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა.

ღარიბაშვილმა გამართა შეხვედრა საუდის არაბეთის სამეფოს ინვესტიციების მინისტრთან ხალიდ ალფაილთან და ეკონომიკისა და დაგეგმარების მინისტრთან ფაისალ ფადილ ალ-იბრაჰიმთან.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ხაზი გაესვა გასულ წელს საუდის არაბეთის სამეფოში ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებულ ვიზიტს.

როგორც საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობის წევრებმა აღნიშნეს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და საუდის არაბეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის, პრემიერ-მინისტრის, მისი სამეფო უდიდებულესობა პრინც მოჰამედ ბინ სალმან ბინ აბდულაზიზ ალ საუდთან შეხვედრის შემდეგ, მათთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოში ინვესტირება.

მათი თქმით, ეკონომიკური თვალსაზრისით ბოლო დროს მიღწეული პროგრესის გამო, საუდის არაბეთის სამეფოსთვის საქართველო ერთ-ერთი მიმზიდველი საინვესტიციო დანიშნულების მქონე ქვეყანაა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა აქვს.

მხარეები მიმდინარე წელს თბილისში ორი ქვეყნის ბიზნესფორუმის ჩატარების თაობაზე შეთანხმდნენ.

ასევე, გამოითქვა მზადყოფნა, რომ საუდის არაბეთის სამეფოს ენერგეტიკის, ეკონომიკისა და ინვესტიციების სამინისტროების თანამშრომლებისგან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს შეისწავლის.

ვიზიტის დასასრულს კი ირაკლი ღარიბაშვილმა კატარის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.

Son 6 Ayda Gürcistan'da 4 000'e Yakın Rus Vatandaşı 5 000'e Yakın Daire Satın Aldı

საქართველოში ბოლო 6 თვეში რუსეთის 4 ათასამდე მოქალაქემ 5 ათასამდე ბინა შეიძინა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Gürcistan'da 6 Ayda Yaklaşık 9 000 Rus Vatandaşı Şahıs Şirketini Kurdu

6 თვეში საქართველოში ინდმეწარმედ რუსეთის 9 ათასამდე მოქალაქე დარეგისტრირდა

Türk Lirası Rekor Değer Kaybetti

თურქული ლირა რეკორდულად გაუფასურდა

Pandemi Sonrası Tütün Konrolü Yasasının Uygulanması Hafifleşti- Tütün Kontrolü Merkezi

პანდემიის შემდეგ თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულება შემსუბუქდა- თამბაქოს კონტროლის ცენტრი

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Nisan Ayında Bakü-Tiflis-Ceyhan Petrol Boru Hattı Üzerinden 2.6 MLN Ton Petrol Taşındı

აპრილში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით 2.6 მლნ ტონა ნავთობი გადაიზიდა

Tarımsal İhracatın %41'si Rusya'da Yapılıyor

რუსეთზე აგროექსპორტის 41% მოდის

Devlet Elektrik Sistemi Svaneti'de 89 Milyon Dolara Yeni Bir Yardımcı İstasyonu İnşa Edecek

სახელმწიფო ელექტროსისტემა 89 მილიონად სვანეთში ახალ ქვესადგურს აშენებს

Fransa'da Kısa Mesafe İç Hat Uçuşları Yasaklandı

საფრანგეთში მოკლე მანძილზე შიდა ფრენები აიკრძალა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Tiflis'te Daire Satışları %27 Oranında Azaldı

თბილისში საცხოვრებელი ბინების გაყიდვები 27%-ით შემცირდა

Gürcistan'da Demokrasi Endeksi Azaldı

საქართველოში დემოკრატიის მაჩვენებელი გაუარესდა



NATIONS IN TRANSIT 2023

Georgia

TRANSITIONAL OR HYBRID REGIME

34 /100

Democracy Percentage	33.93 /100
Democracy Score	3.04 /7

LAST YEAR'S DEMOCRACY PERCENTAGE & STATUS 35 /100 Transitional or Hybrid Regime

The ratings are based on a scale of 1 to 7, with 7 representing the highest level of democratic progress and 1 the lowest. The Democracy Score is an average of ratings for the categories tracked in a given year. The Democracy Percentage, introduced in 2020, is a translation of the Democracy Score to the 0-100 scale, where 0 equals least democratic and 100 equals most democratic.

Gürcü Vatandaşların Yurtdışı Seyahatlerin Sayısı İki Katına Çıktı

საქართველოს რეზიდენტების საზღვარგარეთ ვიზიტები ორჯერ გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5876 TRY/GEL – 0.1299 EUR/GEL – 2.7752 GBP/GEL – 3.1985

USD/GEL

22 - 29 Mayıs 2023



USD/TR

22 - 29 Mayıs 2023

TRY/GEL

22 - 29 Mayıs 2023

BTC – 27 883. 2

22 - 29 Mayıs 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING